

საქართველოს კანონი შრომის ინსპექციის შესახებ

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნა და მისი ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა და შრომითი ნორმების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. შრომის ინსპექციის ზედამხედველობის სფერო

1. ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა ვრცელდება:

- ა) ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე;
- ბ) საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულ შრომით ურთიერთობებზე.

2. შრომის ინსპექციის საქმიანობა არ ვრცელდება:

- ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურზე, საქართველოს დაზვერვის სამსახურზე, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე და მათადმი დაქვემდებარებულ უწყებებზე, თუ ამ კანონით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემებში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით;
- ბ) შრომით საქმიანობაზე, საგანგებო მდგომარეობისა და საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. შრომის ინსპექციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი

1. შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ეს კანონი, შრომის ინსპექციის სამსახურის დებულება და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. შრომის ინსპექციის სამსახური თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის, გამჭირვალეობის, პროფესიონალიზმის და კონფიდენციალურობის პრინციპებით.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

ა) შრომითი ნორმები - საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მათ შორის სამუშაო ადგილზე ტრეფიკინგის - იძულებითი შრომის ამკრძალავი საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, მინისტრის ბრძანებები და შრომით უფლებებთან და პირობებთან მიმართებით საქართველოს სხვა ნებისმიერი ნორმატიული აქტი, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებები, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებები და კოლექტიური დავის ფარგლებში მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

ბ) შრომის ინსპექციის სამსახური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შრომის ინსპექცია;

გ) მრჩეველთა საბჭო - ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად შექმნილი საკონსულტაციო ორგანო

დ) შრომის ინსპექტორი - ამ კანონით გათვალისწინებული წესის თანახმად მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ სათანადოდ დანიშნული პირი - შრომის ინსპექტორი;

ე) ქცევის კოდექსი - ამ კანონის მე-7 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ დამტკიცებული ქცევის კოდექსი;

ვ) დამსაქმებელი - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო დაწესებულება;

ზ) დასაქმებული - საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურე;

თ) სამუშაო სივრცე - ყველა სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებული და სხვა პირი იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით და რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ დამსაქმებელი აკონტროლებს;

ი) სამუშაო ადგილი - კონკრეტული ადგილი, სადაც დასაქმებული და სხვა პირი უშუალოდ ახორციელებენ შრომით საქმიანობას;

- კ) პროფესიული დაავადება – დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით, იწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას მოკლე პერიოდში ან ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;
- ლ) სამინისტრო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- მ) მინისტრი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.
- ნ) მთავარი შრომის ინსპექტორი - მინისტრის მიერ დანიშნული პირი, რომელიც ხელმძღვანელობს შრომის ინსპექციის სამსახურს და რომელიც ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

თავი II. ძირითადი დებულებები

მუხლი 5. შრომის ინსპექციის სამსახურის სამართლებრივი სტატუსი

შრომის ინსპექციის სამსახური არის ამ კანონის შესაბამისად შექმნილი, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

მუხლი 6. შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის სფერო და მიზანი

შრომის ინსპექციის სამსახურის მიზანია შრომითი ნორმების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

მუხლი 7. შრომის ინსპექციის ფუნქციები

1. შრომის ინსპექციის სისტემა გულისხმობს ადამიანური და მატერიალური რესურსების, პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობას, რომელიც ამ კანონის ფარგლებში განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ შრომითი ნორმების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2. შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციებია:

ა) მისი კომპეტენციის ფარგლებში, შრომით პირობებთან და სამუშაო ადგილზე და სამუშაო სივრცეში დასაქმებულთა დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებების აღსრულების უზრუნველყოფა;

ბ) დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა საკანონმდებლო დებულებებთან შესაბამისობის ყველაზე ეფექტური ზომების შესახებ;

3. შრომის ინსპექციისადმი დაკისრებული ნებისმიერი სხვა ფუნქციები არ უნდა იყოს ისეთი, რომელიც ხელს შეუშლის მათი პირდაპირი მოვალეობების ეფექტურ შესრულებას ან ნებისმიერი ფორმით ზიანს მიაყენებს დამსაქმებლებთან და

დასაქმებულებთან ურთიერთობისათვის აუცილებელ შრომის ინსპექტორის უფლებამოსილებასა და მიუკერძოებლობას.

4. ფუნქციების შესრულებისას, შრომის ინსპექციის სამსახურმა ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება და უფლებები უნდა გამოიყენოს იმგვარად, რომ მან მაქსიმალურად შეძლოს სტრატეგიული გავლენის მოხდენა შრომით ნორმების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფაზე.

5. შრომის ინსპექციის სამსახური ვალდებულია განახორციელოს სათანადო ღონისძიებები იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს:

ა) ინსპექციის სამსახურებს, სხვა სამთავრობო სამსახურებსა და მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო ან კერძო ინსტიტუციებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას;

ბ) შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლებს, დამსაქმებლებს, დასაქმებულებს, მათ წარმომადგენლებს ან „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით შექმნილ დასაქმებულთა გაერთიანებას და ნებისმიერ სხვა ფიზიკურ პირებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას, რომლებმაც შესაძლოა პოზიტიური გავლენა ჰპოვონ შრომითი ნორმების ეფექტურ გამოყენებაზე.

6. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, მინისტრი:

ა) უფლებამოსილია დაადგინოს შრომის ინსპექციის სამსახურის და შრომის ინსპექტორის საქმიანობის ფარგლებში უფლებამოსილებისა და უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო და პოლიტიკის დოკუმენტები, განსაზღვროს შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის მიმართულებები, იმ პირობის დაცვით, რომ მას ექნება ზოგადი ხასიათი და არ იქნება დაკავშირებული ნებისმიერ კონკრეტულ საქმესთან, საქმისწარმოებასთან ან საჩივართან; და

ბ) ვალდებულია დაამტკიცოს ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შესახებ შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსი.

თავი III. შრომის ინსპექციის სამსახურის მართვა და წარმომადგენლობა

მუხლი 8. შრომის ინსპექციის მართვა და წარმომადგენლობა

1. შრომის ინსპექციის სამსახურს ხელმძღვანელობს მთავარი შრომის ინსპექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი.

2. მთავარი შრომის ინსპექტორი:

ა) წარმოადგენს შრომის ინსპექციის სამსახურს;

ბ) წარმართავს შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობას;

გ) შეიმუშავებს და ამტკიცებს შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებას;

დ) იღებს გადაწყვეტილებებს (გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს) შრომის ინსპექციის სამსახურის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

- ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შრომის ინსპექტორებს და შრომის ინსპექციის სამსახურის სხვა თანამშრომლებს;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს შრომის ინსპექციის სამსახურის სახსრებსა და ქონებას;
- ზ) ახორციელებს შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. მრჩეველთა საბჭო

მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს მინისტრთან არსებულ საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ინსპექციის სამსახურისთვის რჩევების მიცემას სტრატეგიის, ფუნქციონირებისა და საქმიანობის შესახებ. მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან:

- ა) სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ყველა წევრი დასაქმებულთა ორგანიზაციის მიერ ნომინირებული სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დასაქმებულთა ორგანიზაციის 2 წარმომადგენელი.
- ბ) სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ყველა წევრი დამსაქმებელთა ორგანიზაციის მიერ ნომინირებული სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დამსაქმებელთა ორგანიზაციის 2 წარმომადგენელი
- გ) საქართველოს პარლამენტის მიერ ნომინირებული საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 1 წევრი და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 1 წევრი.
- დ) საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი.
- ე) მინისტრი.

2. მრჩეველთა საბჭო ხმათა უმრავლესობით შეიმუშავებს და ამტკიცებს მისი საქმიანობის წესს.

მუხლი 10. შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურა

1. მთავარ შრომის ინსპექტორს ჰყავს პირველი მოადგილე და არანაკლებ ერთი მოადგილე.
2. მთავარი შრომის ინსპექტორის პირველი მოადგილეს და მთავარი შრომის ინსპექტორის მოადგილე(ებ)ს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავარი შრომის ინსპექტორი.
3. მთავარი შრომის ინსპექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილების განუხორციელებლობის, მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მთავარი შრომის ინსპექტორის უფლებამოსილებას ახორციელებს მთავარი შრომის ინსპექტორის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – მთავარი შრომის ინსპექტორის მოადგილე.
4. მთავარი შრომის ინსპექტორის პირველი მოადგილე და მოადგილე(ები) ანგარიშვალდებულნი არიან მთავარი შრომის ინსპექტორის წინაშე. მთავარი შრომის ინსპექტორის პირველი მოადგილის საკურატურო სფეროში შედის შრომითი

უფლებებთან დაკავშირებული შრომითი ნორმების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა. მთავარი შრომის ინსპექტორის მოადგილის საკურატურო სფეროში შედის პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანრმთელობის დაცვასთან დაკავშირებული შრომითი ნორმების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

5. შრომის ინსპექციის სამსახურის სტრუქტურა, ადმინისტრაციული მოწყობის წესი, შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმი, მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს მინისტრი.

6. მთავარი შრომის ინსპექტორი ვალდებულია შრომის ინსპექციის სამსახურში დანიშნოს იმ რაოდენობის შრომის ინსპექტორები, რაც აუცილებელია შრომის ინსპექციის სამსახურის მოვალეობების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად.

7. მთავარი შრომის ინსპექტორი ვალდებულია შრომის ინსპექციის სამსახურში დანიშნოს როგორც ქალი, ასევე მამაკაცი ინსპექტორი. საჭიროების შემთხვევაში, მამაკაც და ქალ ინსპექტორებს შეიძლება დაეკისროთ სპეციალური მოვალეობები.

8. შრომის ინსპექტორი არის საჯარო მოსამსახურე და მისი სამუშაოზე დანიშვნა, სტატუსი, სოციალური დაცვა და გარანტიები, შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, მთავარი შრომის ინსპექტორი განსაზღვრავს შრომის ინსპექტორის დანიშვნისათვის აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში შრომის ინსპექტორთა თანამდებობის კლასიფიცირებასთან და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ მიღებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

9. შრომის ინსპექციის სამსახურის ხარჯით, შრომის ინსპექტორები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ჯანმრთელობის დაზღვევით. შრომის ინსპექტორთა ჯანმრთელობის დაზღვევის მინიმალური პირობები დგინდება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შედეგად შრომის ინსპექტორის გარდაცვალების ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

11. მთავარმა შრომის ინსპექტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ შრომის ინსპექტორებს გავლილი ჰქონდეთ თავიანთი მოვალეობების შესრულებისათვის აუცილებელი სწავლება. მთავარი შრომის ინსპექტორი ვალდებულია უზრუნველყოს შრომის ინსპექტორთათვის პერიოდული სწავლების (ტრენინგების) ჩატარება.

12. მთავარი შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია ითანამშრომლოს უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან შრომის ინსპექტორთათვის განკუთვნილი სასწავლო მოდულის შემუშავებისა და განვითარების მიზნით. უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათ შორის პერიოდულობა, სავალდებულო კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებით.

13. შრომის ინსპექტორს უნდა გადაეცეს მაიდენტიფიცირებელი ბარათი. შრომის ინსპექტორი ვალდებულია მუდმივად ატარებდეს მაიდენტიფიცირებელ ბარათს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ან ფუნქციების შესრულებისას.

თავი IV შრომითი ნორმების გამოყენება და აღსრულება

მუხლი 11. შრომითი ნორმების გამოყენების და აღსრულების მექანიზმები

შრომის ინსპექციის სამსახური ახორციელებს შრომითი ნორმების გამოყენებას და აღსრულებას, მათ შორის, შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- ა) შრომით ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოთხოვნის შესაბამისად, კონსულტაციის გაწევა ან/და ინფორმაციის მიწოდება;
- ბ) შრომითი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების მიღება და განხილვა;
- გ) ინსპექტირება;
- დ) საქართველოში შრომით ნორმების დაცვის ხელშეწყობისკენ მიმართული საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და მისი ცნობიერების ამაღლება, საინფორმაციო კამპანიებისა და სხვა ქმედითი ღონისძიებების მეშვეობით.

მუხლი 12. შრომით ნორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე, კონსულტაციის გაწევა ან/და ინფორმაციის მიწოდება

1. შრომის ინსპექციის სამსახური ვალდებულია, მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს ინფორმაცია და კონსულტაცია გაუწიოს ნებისმიერ დამსაქმებელს ან/და დასაქმებულს შრომით ნორმებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია გაუწიოს კონსულტაცია, და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს დაინტერესებულ პირს ნებისმიერი განცხადების ან ამ კანონით განსაზღვრული საჩივრის წარდგენაში ან საქმისწარმოების დაწყებაში ან ამგვარი განცხადების ან საჩივრის ან საქმისწარმოების ფარგლებში გამოვლენილი პრობლემის გადაჭრაში.
3. შრომის ინსპექტორის უფლებამოსილებები და ვალდებულებები, კონსულტაციის გაწევისა ან/და ინფორმაციის მიწოდების წესი განისაზღვრება შრომის ინსპექციის სამსახურის დებულებით.

მუხლი 13. შრომითი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივარი

1. შრომის ინსპექციის სამსახური ვალდებულია განიხილოს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი ყველა საჩივარი შრომითი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით.

2. შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია საჩივართან დაკავშირებული გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით განახორციელოს ნებისმიერი სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის ინსპექტირება ამ კანონით განსაზღვრული წესის და უფლებამოსილების შესაბამისად. ინსპექტირების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავარი შრომის ინსპექტორი.

3. საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში შრომის ინსპექციის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ამ კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების გამოყენების შესახებ. საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, მთავარი შრომის ინსპექტორის დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა შეიძლება გაგრძელდეს საჩივრის გადაწყვეტისთვის დამატებითი 1 თვის ვადით.

მუხლი 14. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შესრულებული ინსპექტირება

1. შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მე-13 მუხლში მითითებული დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე განახორციელოს ნებისმიერი სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის ინსპექტირება ამ კანონით განსაზღვრული წესის და უფლებამოსილების შესაბამისად. ინსპექტირების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავარი შრომის ინსპექტორი.

2. ინსპექტირების შესრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში შრომის ინსპექციის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ამ კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების გამოყენების შესახებ. მთავარი შრომის ინსპექტორის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებითი 1 თვის ვადით ადმინისტრაციული სახდელების გამოყენებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხის სირთულის გათვალისწინებით.

მუხლი 15. შრომის ინსპექტორთა უფლებამოსილებები ინსპექტირებასთან მიმართებით

1. ამ კანონის ადმინისტრირების ან ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების აღსრულების მიზნით, შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია:

ა) თავისუფლად და წინასწარი შეტყობინების გარეშე შევიდეს ინსპექციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში ღამის ან დღის ნებისმიერ დროს;

ბ) სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, შევიდეს დღისით ნებისმიერ შენობაში, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ასეთი შენობა ექვემდებარება ინსპექციას;

- გ) მოითხოვოს სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის ან მისი ნებისმიერი ნაწილის ხელშეუხებლობა, რამდენადაც აღნიშნული გონივრულად აუცილებელია სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის მოკვლევის ან ინსპექტირებისათვის;
- დ) მოიძიოს, გამოითხოვოს და გამოიკვილოს ნებისმიერი მასალა, ინფორმაცია, დოკუმენტი ან ნივთი რასაც შრომის ინსპექტორი გონივრულობის ფარგლებში აუცილებლად მიიჩნევს შრომის ინსპექტორის მიერ მოკვლევის ჩასატარებლად ან სხვა ფუნქციის შესასრულებლად;
- ე) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მოკვლევის მიზნებისათვის დალუქოს ან/და ამოიღოს ამ მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ნებისმიერი მასალა, დოკუმენტი, საგანი ან ნივთიერება ან განახორციელოს ასლის გადაღება.
- ვ) აიღოს ნებისმიერი ნივთის, მასალის, არსებული ნივთიერების ან ატმოსფერული ჰაერის ნიმუში;
- ზ) განახორციელოს აზომვები, ჩანაწერები, ფოტო, ვიდეოგადაღება, ამონაწერის გაკეთება;
- თ) გამოკითხოს სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში ნებისმიერი პირი, აღნიშნული პირისგან ისეთი ინფორმაციის მოთხოვნის გარეშე, რომელმაც შესაძლოა ამხილოს ეს პირი;
- ი) კონფიდენციალობის პირობის დაცვით, შრომის ინსპექციის სამსახურში დაიბაროს და გამოკითხოს დამსაქმებელი, დასაქმებული ან ნებისმიერი სხვა პირი;
- კ) შეამოწმოს ან დაათვალიეროს ნებისმიერი სამუშაო ადგილი, სამუშაო სივრცე, მასალა, მანქანა-დანადგარები ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობა ან ხელსაწყო;
- ლ) მოითხოვოს პირისგან, რომლის განკარგულებაშია ნებისმიერი მასალა, დოკუმენტი, ნივთი ან ნივთიერება (რასაც შრომის ინსპექტორი გონივრულობის ფარგლებში აუცილებლად მიიჩნევს მოკვლევის ჩასატარებლად ან სხვა ფუნქციის შესასრულებლად, მიუხედავად იმისა აღნიშნული არის თუ არა სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში) შემდეგი მოქმედების განხორციელება:
- ლ.ა) ნებისმიერი მასალის, დოკუმენტის, ნივთის ან ნივთიერების გადმოცემა; და
- ლ.ბ) ნებისმიერ დოკუმენტში არსებული ჩანაწერის განმარტება.
- მ) საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს პოლიციის, თარჯიმნის ან შესაბამისი ტექნიკური ექსპერტიზის მქონე პირის დახმარება;
- ნ) ამ კანონით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოსცეს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტი, გააფორმოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, გამოიყენოს ადმინისტრაციული სახდელეები და გასცეს მითითებები.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სამუშაო სივრცეში შესვლისა და შემოწმების წესი და პირობები დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 16. შრომის ინსპექტორთა ვალდებულებები

1. ამ კანონით შრომის ინსპექტორებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებები უნდა განხორციელდეს:

ა) გონივრულობის ფარგლებში, ამ კანონის მოთხოვნებისა და იმ პირის ინტერესების გათვალისწინებით, რომელსაც შეეხო შრომის ინსპექტორის მიერ უფლების რეალიზება;

ბ) ქცევის კოდექსით და ამ კანონის მე-7 მუხლის თანახმად მთავარი შრომის ინსპექტორის მიერ დადგენილი სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

გ) დაუყოვნებლივ, საჩივრის ან შრომის ინსპექტორის დახმარების შესახებ მოთხოვნის მიღებიდან, პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში.

2. სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში დაშვების მიზნით, შრომის ინსპექტორმა მაიდენტიფიცირებელი ბარათი უნდა წარუდგინოს:

ა) დამსაქმებელს ან მის წარმომადგენელს;

ბ) სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის მესაკუთრეს ან მის წარმომადგენელს; ან

გ) სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის მფლობელს ან მის წარმომადგენელს.

3. შრომის ინსპექტორი, რომელმაც ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე თავისთან დროებით დააკავა/დალუქა მასალა, დოკუმენტი ან ნივთი, ვალდებულია აღნიშნული მასალის, დოკუმენტის ან ნივთის მფლობელს მისცეს ასლის ან ფოტოს გადაღების შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნულის განხორციელება არ არის პრაქტიკული მნიშვნელობის.

4. შრომის ინსპექტორი ვალდებულია, მასალის, დოკუმენტის ან ნივთის დალუქვის ან/და ამოღების შესახებ გასცეს შესაბამისი აქტი.

5. შრომის ინსპექტორი ვალდებულია მასალის, დოკუმენტის ან ნივთის დალუქვის ან/და ამოღებისას შესაბამის მფლობელს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს მისცეს, გონივრული პერიოდულობით, აღნიშნული მასალის, დოკუმენტის ან ნივთის შემოწმების ან ასლების გადაღების შესაძლებლობა.

6. თუ შრომის ინსპექტორი მოახდენს ამ კანონით გათვალისწინებული ატმოსფერული ჰაერის, მასალის, ნივთის ან ნივთიერების ნიმუშის აღებას, იგი ვალდებულია აღნიშნული აცნობოს დამსაქმებელს, სამუშაო ადგილის მესაკუთრეს, მფლობელს ან სავარაუდო მფლობელს და გადასცეს მას ამ ნიმუშის ნაწილი.

7. შრომის ინსპექტორი ვალდებულია დაიცვას ამ კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაციისას მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს დაინტერესებულ ხელისუფლების ორგანოს თუ არსებობს ამგვარი ინფორმაციის მიწოდების გონივრული საფუძველი, რომელიც აუცილებელია ამ ან სხვა კანონის აღსრულების მიზნებისათვის.

მუხლი 17. თანამშრომლობა სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან

1. შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია, სხვადასხვა ფორმით ითანამშრომლოს საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან.

2. შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია, აუცილებლობით განპირობებულ გამონაკლის შემთხვევაში, ერთობლივი ინსპექტირება განახორციელოს სხვა შესაბამის საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალურ საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობით.

3. თუ შრომის ინსპექციის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას მიიჩნევს, რომ არსებობს ეჭვი მისი კომპეტენციის მიღმა ჩადენილი სამართალდარღვევის ან დანაშაულის შესახებ, აღნიშნულიდან დაუყოვნებლივ არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს უფლებამოსილ სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ ორგანოს.

მუხლი 18. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ინფორმაციის გამოთხოვა

1. კონფიდენციალობის პირობის დაცვით, შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია, ნებისმიერი სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებისგან, ფიზიკური ან/და იურიდიული პირისგან გამოითხოვოს დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ კანონით გათვალისწინებული ინსპექტირების განსახორციელებლად ან/და ადმინისტრაციული სახდელის დასადებად.

2. ნებისმიერი დაწესებულება, ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ვალდებულია, შრომის ინსპექციის სამსახურს მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიაწოდოს დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე ან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) საჯარო დაწესებულების სისტემაში შემაჯალ ან მმართველობის სფეროში მოქმედ დაწესებულებიდან, ტერიტორიული ორგანოდან ან ფილიალიდან ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას;

ბ) მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან, ტერიტორიულ ორგანოსთან, ფილიალთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას;

გ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას.

3. შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის საგამოძიებო ორგანოში გაეცნოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველ მასალას, დოკუმენტაციას ან/და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ამ კანონით გათვალისწინებული ინსპექტირების განსახორციელებლად ან/და ადმინისტრაციული სახდელის დასადებად. თუ შრომის ინსპექციის სამსახურის მოთხოვნა, გაეცნოს ოპერატიულ-სამძებრო და დანაშაულის გამოძიების ამსახველ მასალას, დოკუმენტაციას ან/და ინფორმაციას ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე აცნობოს შრომის ინსპექციის სამსახურს და, შესაბამისად, გააცნოს მოთხოვნილი ინფორმაცია.

4. შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია, გაეცნოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

თავი V ადმინისტრაციული სახდელების გამოყენება შრომითი ნორმების აღსრულებისას

მუხლი 19. შრომითი ნორმების აღსრულების ზოგადი საფუძვლები

1. შრომითი ნორმების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.
2. ამ თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღება შრომის ინსპექტორის მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მინისტრთან და შემდგომ სასამართლოში.
3. ამ თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, მისი შევსებისა და წარდგენის წესი განისაზღვრება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. შრომის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული დარღვევისათვის პასუხისმგებლობა და აღსრულების წესი რეგულირდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და სხვა სპეციალური კანონით. საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება წინამდებარე თავით.

მუხლი 20. ადმინისტრაციული სახდელები შრომითი ნორმების დარღვევისათვის

1. შრომითი ნორმების დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.
2. შრომითი ნორმების დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები:
 - ა) გაფრთხილება;
 - ბ) ჯარიმა;
 - გ) სამუშაო პროცესის შეჩერება.

3. შრომის ინსპექცია სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ფარგლებში განსაზღვროს როდის და რომელი ადმინისტრაციული სახდელი უნდა იქნეს გამოყენებული ან/და რა ოდენობის ჯარიმა უნდა იქნეს დაკისრებული.

4. შრომის ინსპექციის სამსახური ამ მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისას გასცემს მითითებას აღმოჩენილი დარღვევის შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში გამოსწორების შესახებ.

5. აღმოჩენილი დარღვევის გამოსწორებისათვის დადგენილი გონივრული ვადა განისაზღვრება შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ დამსაქმებელთან და დასაქმებულთა გაერთიანებასთან (ასეთი არსებობის შემთხვევაში) ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელთან (ასეთი არსებობის შემთხვევაში) კონსულტაციის საფუძველზე და აღინიშნება შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს შრომის ინსპექციის სამსახური და დამსაქმებელი. დამსაქმებლის უარი ოქმის ხელმოწერაზე, უარის თქმის მიზეზის მითითებით, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ აღინიშნება შესაბამის ოქმში. დამსაქმებლის უარი ვერ ჰპოვებს გავლენას ოქმის ნამდვილობაზე.

6. შრომის ინსპექციის სამსახური ამ მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა.

7. დარღვევის გამოსასწორებლად გაცემული მითითებით დადგენილ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში შრომის ინსპექციის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების და გაცემული მითითების შესასრულებლად სამართალდამრღვევისათვის დამატებითი გონივრული ვადის მიცემის შესახებ.

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შრომის ინსპექციის სამსახური გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა დაინტერესებულ მხარეს. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში მითითებული მხარისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის პირადად ჩაბარება ვერ ხერხდება, გამოიყენება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი.

9. დაკისრებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს შრომის ინსპექციის სამსახურს დააკისრებს საურავს აღნიშნული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, ხოლო საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება

იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

10. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება არ ათავისუფლებს დამსაქმებელს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისაგან.

11. ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის გამოყენების შედეგად დარღვევის გამოსასწორებლად გაცემული მითითებით დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორებლობის ან შესაბამისი დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებიდან 1 კალენდარული წლის განმავლობაში იმავე ქმედების განმეორებით ჩადენისათვის დაჯარიმების შემდგომ იგივე ქმედების მესამედ ჩადენის შემთხვევაში შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შესახებ. სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება ხდება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

12. ამ მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება დასაშვებია ბავშვთა შრომის, იძულებითი შრომის და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული დებულებების დარღვევისათვის, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაო პროცესის შეჩერების შესახებ სხვა შემთხვევების გარდა.

თავი VI შრომის ინსპექციის ადმინისტრირება

მუხლი 21. კონფიდენციალობა

1. მე-13 მუხლში მითითებული საჩივარი ან/და შრომის ინსპექტორის მიერ პირის გამოკითხვა სრულად არის დაცული კონფიდენციალობის გარანტიით და შრომის ინსპექტორი, მათ შორის შრომის ინსპექციის ყველა თანამშრომელი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს საჩივრის ავტორის ან/და გამოკითხული პირის ვინაობა. ინსპექტირების განხორციელებისას, შრომის ინსპექციის სამსახური არ მიუთითებს, რომ ინსპექტირება საჩივრის საფუძველზე დაიწყო.

2. მე-13 მუხლში მითითებული საჩივრის ავტორის ან/და გამოკითხული პირის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ ამ პირის თანხმობის საფუძველზე ან/და თუ არსებობს ამგვარი ინფორმაციის გაჟღერების გონივრული საფუძველი, რომელიც აუცილებელია ამ ან სხვა კანონის აღსრულების მიზნებისათვის.

მუხლი 22. შრომის ინსპექტორთა ქცევა

1. აკრძალულია შრომის ინსპექტორებს ჰქონდეთ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ საწარმოებში. შრომის ინსპექტორებს ეკრძალებათ დამსაქმებლისგან ან დასაქმებულისგან ნებისმიერ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში მიიღონ ნებისმიერი სახის სარგებელი.
2. შრომის ინსპექტორი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს ნებისმიერი ინფორმაცია რაც მისთვის ცნობილი გახდა შრომის ინსპექციის სამსახურში მუშაობისას, გარდა იმ შემთხვევისა, რაც გამომდინარეობს მის მიერ ვალდებულებების შესრულებიდან. ეს ვალდებულება შრომის ინსპექტორს უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც უნარჩუნდება.
3. ზედამხედველი პირისთვის ინფორმაციის მიწოდების გარდა, შრომის ინსპექტორი ვალდებულია არ გაამჟღავნოს შრომის ინსპექციის სამსახურში მუშაობისას მიღებული ნებისმიერი საჩივრის წყარო.
4. შრომის ინსპექტორი, რომელიც დაარღვევს ამ მუხლს უნდა გათავისუფლდნენ შრომის ინსპექციის სამსახურიდან.
5. ამ მუხლის მესამე პუნქტის დარღვევისათვის განსაზღვრული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით.

მუხლი 23. შრომის ინსპექტორთა საქმიანობისთვის ხელის შეშლა

ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის ინსპექციის სამსახურისთვის განზრახ ხელის შეშლისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

მუხლი 24. ყოველწლიური ანგარიში

1. მთავარი შრომის ინსპექტორი ვალდებულია შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს მრჩეველთა საბჭოს და საქართველოს პარლამენტს, კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში.
2. შრომის ინსპექციის სამსახურის წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში იგი უნდა მოიცავდეს ქვემოთ მითითებულ საკითხებს:
 - ა) შრომის ინსპექციის სამსახურთან კავშირში მყოფი კანონმდებლობისა და რეგულაციების მიმოხილვა;
 - ბ) შრომის ინსპექციის სამსახურის სტრატეგია;
 - გ) შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია;
 - დ) ინსპექციას დაქვემდებარებული სამუშაო ადგილების სტატისტიკა და მათში დაქირავებული დასაქმებულთა რაოდენობა;
 - ე) ინსპექციის ვიზიტების სტატისტიკა;
 - ვ) დარღვევებისა და დაკისრებული სახდელების სტატისტიკა;
 - ზ) უბედური შემთხვევების სტატისტიკა;

თ) პროფესიული დაავადებების სტატისტიკა;

3. შრომის ინსპექციის სამსახურის წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა.

4. საქართველოს პარლამენტში ანგარიშის მოსმენა ხდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

მუხლი 25. შრომის ინსპექციის სამსახურის ქონება

შრომის ინსპექციის სამსახურს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად და ფუნქციების შესასრულებლად აქვს ქონება, რომლის შექმნის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 26. შრომის ინსპექციის სამსახურის დაფინანსება

1. შრომის ინსპექციის სამსახურის დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები .

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები სრულად ხმარდება შრომის ინსპექციის სამსახურის მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას.

მუხლი 27. შრომის ინსპექციის სამსახურის კონტროლი

შრომის ინსპექციის სამსახურის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს მინისტრი, რომელიც ზედამხედველობს შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის კანონიერებას, ეფექტიანობას და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას და უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მისი არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 28. შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის შეწყვეტისა და ლიკვიდაციის წესი

შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის შეწყვეტა და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 29. გარდამავალი დებულებები

1. მინისტრმა ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თანამდებობაზე დანიშნოს მთავარი შრომის ინსპექტორი.

2. მინისტრი ამ კანონის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში მოიწვევს მრჩეველთა საბჭოს პირველ სხდომას. მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილია შეიმუშაოს და დაამტკიცოს მისი საქმიანობის წესი თუ მრჩეველთა საბჭოს სხდომას ესწრება წევრთა ორი მესამედი.

3. მინისტრმა ამ კანონის გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში დაამტკიცოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის დებულება.

4. მინისტრმა ამ კანონის გამოქვეყნებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსის დამტკიცება.

5. მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ კანონის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ქონების შრომის ინსპექციის სამსახურისათვის გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 30. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი